



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №9

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 05 ოქტომბერი
11⁰⁰საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თეზიძე.

ე ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|---|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ლაშა სირაზიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დიმიტრი ჭეიშვილი | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნერიმან ცინცაძე | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე; |

- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- დავით მახარაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია ერთი სამართლებრივი აქტის პროექტი. მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე. საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ წინადადება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 და-დგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

არ ესწრებოდა: 2 (ი. თოფურიძე, დ. ჭიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ დამსწრე-საზოგადოებას აცნობა საკრებულოს წევრის არჩილ მამულაძის მიერ პარტიის „პატრიოტთა ალიანსის“ წევრობის დატოვების თაობაზე. ის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატია.

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე მიესალმა კოლეგებს და მიუსამძიმრა სოფ. ჯოჭოში დატრიალებული სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს და აღნიშნა, რომ ასეთი ტრაგედია ზემო აჭარაში სხალთის ხეობის მერე პირველი დიდი ტრაგედიაა. მან თხოვნით მიმართა, რომ ასეთი სოფლების, ოჯახების მიმართ გამოიჩინონ მეტი ყურადღება. ასევე ქალაქ ბათუმის მერს მიმართა ყურადღების გამახვილებაზე, კერძოდ: გონიო-აფსაროსის მე-2 შესახვევი და ცენტრალური გზიდან სოფელში შესასვლელი ხიდი ავარიულ მდგომარეობაშია. ხიდს მოაჯირი არ აქვს, ხიდის ქვეშ გადის უზარმაზარი არხი. სოფლის გზაზე წვიმის შემდეგ გავლა შეუძლებელია. გარდა ამისა 2017 წლიდან თამარის დასახლებაში, სახლი N24 სახურავი აქვს გამოსაცლელი. ასევე მოსაწესრიგებელია ქვაფენილები, რაც აფერხებს ტრანსპორტის მოძრაობას.

საკრებულოს წევრი-მირდატ ქამადაძე უერთდება სამძიმარს, რომელიც დატრიალდა სოფელ ჯოჭოში, უსამძიმრებს ოჯახებს და ახლო ნათესავების წევრებს. მან წამოაყენა წინადადება ახალი რეგულაციის - საზოგადოებრივი ტრანსპორტის აკრძალვით გამოწვეულ დისკომფორტის თაობაზე, რომელიც მეორედ ვირუსთან ბრძოლის წინააღმდეგ იქნა მიღებული. მოითხოვა რეგულაციის გაუქმება, მუნიციპალური ავტოტრანსპორტის მოძრაობის აღდგენა, რადგან ეს შეზღუდვა ვირუსის გავრცელების პრევენციას ვერ უზრუნველყოფს და მხოლოდ მოქალაქეებს აზარალებს.

საკრებულოს წევრმა-ნატალია ზოიძემ ღრმა მწუხარება გამოთქვა დაღუპული ოჯახების მიმართ. მისი თხოვნა შეეხო მიმდინარე წლის 31 ივნისს საკრებულოს მიერ დამტკიცებულ N31 დადგენილების შეუსრულებლობას, სადაც საუბარია ერთ-ერთი ქუჩის გაცალმხრივების თაობაზე. ასევე აღნიშნა კონტროლის მიზნით ბაზრობის ტერიტორიებზე ეკიპაჟის გამოყოფის თაობაზე.

საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე მიესალმა და მწუხარება გამოთქვა უდიდესი ტრაგედიის გამო. ასევე ისაუბრა ბოლო წლებში ტროტუარების სავაჭრო ცენტრებად გამოყენების თაობაზე. ერთ-ერთი მაგალითია გორგილამის ქუჩის ბოლოს, მაგდონალსის მოპირდპირე მხარეს შუმის კორპუსის დადგმა, რომელიც საჭიროებს რეაგირებას. ასევე აღნიშნა, გორგილამის ქუჩის ბოლოში სავაჭრო ცენტრ გუდვილთან ასფალტის საფარის დაზიანებისა და ქალაქში მიმდინარე სანიაღვრე არხების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების შემოწმების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა - დავით მახარაძემ ქალაქ ბათუმის მერს და მერიის სამსახურებს მადლობა გადაუხადა მისი მხრიდან გაკეთებული განცხადებების მყისიერად შესრულების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა - ლაშა სირაბიძემ მწუხარება გამოთქვა ტრაგედიის გამო. მან ბათუმის მოსახლეობას მიმართა, რომ ბიუჯეტში პროგრამებით გაწერილი ღონისძიებები პანდემიის გამო შეჩერდა, თუმცა ყველა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით ეტაპობრივად განხორციელდება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ პანდემიის პერიოდში, გონივრულად გადადგმული ნაბიჯებისთვის მადლობა გადაუხადა ხელისუფლებას.

საკრებულოს წევრი - ნერიმან ცინცაძე უერთდება მწუხარებას. ასევე ისაუბრა პანდემიის თაობაზე, რომელიც უდიდესი პრობლემაა მსოფლიოსთვის. აღნიშნა, რომ მაქსიმალური კეთდება ხელისუფლების მხრიდან, თანადგომით, გაერთიანებულად უნდა კეთდებოდეს საქმე და არ შეიძლება ამ თემით აპელირება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს - არჩილ ჩიქოვანს მისცა სიტყვის უფლება.

ქალაქ ბათუმის მერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას. მიუსამძიმრა ოჯახებს ხელვაჩაურში, სოფელ ჯოჭოში დატრიალებული ტრაგედიისა და სტიქიის შედეგად განვითარებული მოვლენების გამო. სამაშველო სამსახურს მადლობა გადაუხადა ოპერატიული და სწრაფი რეაგირებისთვის. ისაუბრა საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვის თაობაზე და აღნიშნა, რომ პანდემიასთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია მობილობის შემცირება-საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის შეზღუდვა, რათა სამომავლოდ დავუბრუნდეთ ჩვეულ რიტმს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყების თაობაზე.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოში არსებულ მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვის პროექტის ფარგლებში მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2020 წლის 6 ოქტომბრიდან იგეგმება საქმისწარმოების ერთიანი ელექტრონული პროგრამის დანერგვა, რომლის მიზანია ელექტრონული საქმისწარმოების გამარტივების პროცესის ხელშეწყობა, ერთიანი ელექტრონული სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. შესაბამისად მიმდინარე პროექტის ფარგლებში იმისათვის, რომ 2020 წლის 6 ოქტომბრიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი გადავიდეს ელექტრონული საქმისწარმოების ახალ სისტემაზე, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ეთხოვა მუნიციპალიტეტებს მიმდინარე წლის 6 ოქტომბრამდე უზრუნველყონ მერიის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საქმისწარმოებისა და
ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი

მზევინარ წულუკიძე